საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი

საქპატენტი

ქ. მცხეთა "19" 07 2013 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1063/03

სასაქონლო ნიშანზე სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის რეგისტრაციის თაობაზე

2012 28 მაისის N67412/03 განაცხადით შპს „ფერმო ფენსი"-ის დირექტორმა სალიჰ სელმან აპაიდინმა (მის.:დიდი დიღომი, ფარნავაზის გამზ. ავტოსადგომის (პურის საცხობის) მიმდებარედ) მოითხოვა სასაქონლო ნიშანზე „fermo" (რეგ. N23863) „სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის ორი წლის ვადით რეგისტრაცია სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში. სასაქონლო ნიშანი „fermo" (რეგ. N23863) საქართველოში რეგისტრირებულია 2013-07-19 წელს და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება 2023-07-19 წლამდე. სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია მე-6, მე-19 და 37-ე კლასის საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალის მიმართ. არსებული გარემოებების შესწავლის შედეგად და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 52-ე მუხლის, „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე–4 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - საქპატენტის დებულების დამტკიცების შესახებ "საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის N181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სასაქონლო ნიშანზე „fermo" (რეგ. N23863) დარეგისტრირდეს სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნა სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში ორი წლის ვადით მე-6 და მე-19 კლასის საქონლის ჩამონათვალისათვის (მოთხოვნის რეგისტრაციის N329, მოთხოვნის რეგისტრაციის თარიღი 19.07.2013).

სათაო ოფისი: 3300 ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5; ტელ.: (+995 32) 2252533; ტელ./ფაქსი: (+995 32) 2988419
გამომცემლობა: 0179 ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №31; ტელ.: (+995 32) 2252796
E-mail: info@sakpatenti.org.ge
www.sakpatenti.org.ge

2. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატაში კანონით დადგენილი წესით სამი თვის ვადაში ან მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: მცხეთა, სამხედროს N 17) ერთი თვის ვადაში.

თავმჯდომარე ირაკლი ღვალაძე

ეგზავნება: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტს; შპს ,,ფერმო ფენსი"-ის დირექტორს სალიჰ სელმან აპაიდინს (მის.:დიდი დიღომი, ფარნავაზის გამზ. ავტოსადგომის (პურის საცხობის) მიმდებარედ).

ასლი დედანთან სწორია
"19" 07 2013 წ.
ხელმოწერა